ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „ქალი მომავლის რწმენით“ (12 მარტი, 2016)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ ინიციატივითა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს მხარდაჭერით ქალაქ რუსთავში მდებარე №5 პენიტენციალურ დაწესებულებაში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „ქალი მომავლის რწმენით“ გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე ბელა კოპალიანი, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ელდარ გეწაძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი თეიმურაზ ელიავა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი დარეჯან მახაშვილი.

შეხვედრისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა პენიტენციალურ დაწესებულებას ბიბლიოთეკისათვის საჩუქრად წიგნები გადასცა.